

ლევან ჭაბაშვილი

შუა ბრინჯაოს ხანის კატაკომბური სამარხები საქართველოში

თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის კულტურის მეცნიერული შესწავლა XX საუკუნის 30-ანი წლებიდან წალკის პლატოზე წარმოებულ არქეოლოგიური გათხრებით იწყება. სამხრეთ კავკასიის ვრცელ ტერიტორიაზე დღეისთვის ამ კულტურის ასეულობით ძეგლია შესწავლილი. ეს არის ძირითადად სამარხი ძეგლები. ცნობილია როგორც გორასამარხები, ასევე ორმოსამარხები. გორასამარხებს შორის საინტერესო ჯგუფს წარმოადგენს ე.წ. კატაკომბური სამარხები. თრიალეთის კულტურის გავრცელების არეალზე სულ რამდენიმე ასეთი სამარხია დღემდე დაფიქსირებული. ესენია: ნატახტარი I სამაროვნის №№ 1, 2, 3 და 8 სამარხები. ნატახტარი III სამაროვნის №№ 20, 21 სამარხები [18:29-38, 45-46; 5:1-6]. მცხეთასთან შესწავლილი წინამურის გორასამარხი № 16 [18:58-59], მდინარე ივრის ზეგანზე შესწავლილი ფურცელწყალის №№ 3¹ და 3² სამარხები [3:34-38]. ფურცელწყალის სამაროვანზე სულ 12 ასეთი კონსტრუქციის სამარხია დაფიქსირებული [9:481]. ცნობილია ასევე რამდენიმე ერთეული მსგავსი სამარხი, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის შემოსული სამეცნიერო მიმოქცევაში. 5 ასეთი სამარხი შესწავლილია მეტეხთან [2:178] და კიდევ 3 სამარხი ცნობილია ხიმშიანთმინის სამაროვანზე, არაგვის ხეობაში სოფელ ბულაჩაურთან.¹ აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ალაზნის ველზე გათხრილ შუაბრინჯაოს ხანის შვიანდიანის სამაროვანზე №1 ქვისწრიან სამარხს ჰქონდა მოზრდილი გვერდითი თახჩა, სადაც სამარხეული ინვენტარი იყო განლაგებული. ამ სამარხს „კატაკომბური ტიპის“ სამარხი ეწოდა [4:39].

განვიხილოთ არსებული მონაცემები ამ სამარხების შესახებ. ეს სამარხები შიდა ქართლის და კახეთის რეგიონებშია დადასტურებული და მათი გავრცელების აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან 350 დან 700 მეტრამდეა. აღსანიშნავია ისიც რომ ეს სამარხები თრიალეთის კულტურის გავრცელების ჩრდილოეთ ნაწილში არის დაფიქსირებული (რუკა I).

¹ ინფორმაცია მოგვანოდა ბატონმა გიორგი გოგოჭურმა. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

სამარხების ყრილის შესახებ ბევრი მონაცემები არ გვაქვს, რადგანაც მათი უმრავლესობა მიწის სამუშაოების დროს დაზიანდა. ფურცელწყალის №№ 3¹ და 3² სამარხებს საერთო ქვაშიწაყრილი ჰქონდა, რომელიც 8 მ დიამეტრის და 0.75 მ სიმაღლის იყო. მცირე ქვაყრილი ჰქონდათ წინამურის №16, ნატახტარი I სამაროვნის №1 და №3 სამარხებს.

სამარხებს აქვს ოვალური ფორმის ჩასასვლელი შახტა და ოთხკუთხა კუთხეებმომრგვალებული ან მოგრძო ოვალური სამარხი ორმო. ფურცელწყალის №3² სამარხი კამერა აღმ.-დას. ხაზზე იყო დამხრობილი. ნატახტარი I სამაროვნის სამარხების, ნატახტარი III სამაროვნის № 2I სამარხის და წინამურის №16 სამარხი კამერები ჩასასვლელი შახტის სამხრეთით ან ჩრდილოეთით იყო განლაგებული. ნატახტარი III სამაროვნის № 2I სამარხის სამარხი კამერა შახტის აღმოსავლეთით იყო განლაგებული.

ფურცელწყალის №3² სამარხში მიცვალებული გაშოტილი იყო დასვენებული, თავი გვერდით სათავსოში დაფიქსირდა, ხოლო ტანი შახტის ძირზე. ნატახტარი III სამაროვნის №20 სამარხში მიცვალებული მარჯვენა გვერდზე იყო დაკრძალული თავით ჩრდილოეთით. ამავე სამაროვნის №2I სამარხიც ინჰუმაციური იყო თუმცა, ძვლების ცუდი დაცულობის გამო, მიცვალებულის დამხრობა ვერ დაფიქსირდა. ნატახტარი I სამაროვანზე მიცვალებული მხოლოდ №3 სამარხში დაფიქსირდა, იგი მარცხენა გვერდზე იყო დაკრძალული თავით აღმოსავლეთით.

ნატახტარი I სამაროვნის №1 სამარხში წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ჩონჩხის ძვლებიც გაიწმინდა, ხოლო ამავე სამაროვნის და №2 და ასევე წინამურის №16 გორასამარხებში მხოლოდ წვრილფეხა საქონლის.

ამ სამარხებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაპოვარი მასალა ძირითადად კერამიკითაა წარმოდგენილი. 9 სამარხში მთლიანობაში 96 თიხის ჭურჭელი დაფიქსირდა. აქედან 74 აღდგენილი და გამოქვეყნებულია. 2 სამარხში (ნატახტარი III №20 და წინამურის №16) 5 ერთეულამდე თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა, კიდევ 2 სამარხში (ნატახტარი III №2I და ფურცელწყალის №3¹) 6-დან 10-მდე ერთეული, ნატახტარი I სამაროვნის სამივე სამარხში 12-14 ერთეული. ნატახტარი I სამაროვნის №8 და ფურცელწყალის №3² სამარხებში კი შესაბამისად 16 და 17 ერთეული. ამ 74 თიხის ჭურჭლიდან 35 დერგი და ქოთანია, 25 ბადია და ჯამი, დანარჩენი კი ან ფრაგმენტირებულია ან სხვა სახეობის ჭურჭელს წარმოადგენს. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი რომ ამ სამარხებში მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი

ლითონის და ქვის არტეფაქტები. ნატახტარი I სამაროვნის №3 სამარხში ბრინჯაოს ერთი სატევარი და 13 ც. ქვის მძივი იქნა აღმოჩენილი, ფურცელწყალის №3 სამარხში აღმოჩნდა I ქვის სარქველი. ყველა სამარხში, გარდა ფურცელწყალის №3 სამარხისა, აღმოჩენილ იქნა ობსიდიანის ანატკეცი, რომელიც უმეტესად, ცხოველის ყელის არეშია დაფიქსირებული. თიხის ჭურჭელი კი ადამიანის და ცხოველების ჩონჩხის გარშემო იყო განლაგებული. ფაქტიურად ამით ამოიწურება შუაბრინჯაოს ხანის კატაკომბური სამარხების შესახებ სამეცნიერო პუბლიკაციებში არსებული ინფორმაცია. მონაცემები ზოგჯერ არასრულია.

ამ სამარხების მასალა ტიპიურია შუაბრინჯაოს ხანისთვის. ის მრავალ პარალელს პოულობს ისეთი ძეგლების მასალებთან როგორცა თრიალეთის, მესხეთის, ლორი-ბერდის, ფურცელწყალის, მწარე წყალის, სამთავროს, ქვასათალის, წალკის და სხვა მასალებთან.

აღნიშნული სამარხის ფორმა სამხრეთ კავკასიაში ბრინჯაოს ხანაში არ არის ფართოდ გავრცელებული. ადრებრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურით არის დათარიღებული ფეკრების სამაროვანზე შესწავლილი კატაკომბები, თუმცა ისინი ჯერ კიდევ გამოქვეყნებელია [21:86]. ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებით (XXV-XXIV სს) თარიღდება მდინარე ივრის ზეგანზე შესწავლილი ჩალიანხევის გორასამარხი კატაკომბური სამარხით, ხოლო ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნით არის განსაზღვრული ამავდრეგიონში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში ადგილ ბრიმალეზე გამოვლენილი 2 დაზიანებული კატაკომბური სამარხი. ჩალიანხევის სამარხში 6 თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა რომელიც პარალელებს პოულობს როგორც მტკვარ-არაქსის კულტურის, ასევე ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანის ძეგლებთან. ბრიმალეეს სამარხებში კი მხოლოდ ძვლის მძივები, რომელთაც პარალელები მოეპოვებათ როგორც მტკვარ-არაქსის კულტურაში ასევე ჩრდილო კავკასიაში [1:15-18]. გვიანბრინჯაოს ხანის კატაკომბური სამარხები შესწავლილია ართიკის სამაროვანზე, ჩრდილო-დასავლეთ სომხეთში. ამ სამაროვნის მასალები გვიანბრინჯაოს ხანით თარიღდება და ტიპიურია ამ რეგიონისთვის [22:19-43; 23:135-156]. კატაკომბური სამარხები სომხეთის ტერიტორიაზე სხვაც არის ცნობილი, ჯერ კიდევ 1875 წელს იქნა აღექსანდრე-პოლში აღმოჩენილი ასეთი სამარხები, რომლებიც შემდეგ ძვ. წ. XII-XI სს დათარიღდა. 1971 წელს იქნა აღმოჩენილი კატაკომბური სამარხები ვოსკევაზთან და 1973 სპანდარიანთან. ბოლო 2 აღმოჩენა ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით დაახლოებით

X-VIII სს თარიღდება. უფრო გვიანდელ ეპოქებში კატაკომბური სამარხები ცნობილია სამხრეთ კავკასიის სხვა რეგიონებში, კერძოდ, სისიანში, ანტიკურ ხანაში [23:152] და ასევე მინგეჩაურში ახ. წ. I-VII სს [6:63-72]. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არტიკის კატაკომბები წარმომავლობის განხილვისას გამოითქვა მოსაზრება სამარხის ამ ფორმისთვის ადგილობრივი პროტოტიპების ძიების შესახებ და დასახელებული იქნა არიჩის შუაბრინჯაოს ხანის სამაროვანი [23:154-156]. იგივე აზრი იქნა გამოთქმული საქართველოში აღმოჩენილი კატაკომბური სამარხების შესახებაც [19:501-502]. ივრის ზეგანის სამარხების განხილვისას კი აღნიშნულია, რომ „...კატაკომბური კულტურა ჩრდილო კავკასიაში, როგორც მთისწინა, ისე სტეპურ ზოლში შემოდის დასავლეთიდან და იკავებს მთელს სივრცეს შავსა და კასპიის ზღვებს შორის, რომელიც შემდეგ თანდათან ვრცელდება კავკასიის ქედის სამხრეთითაც“. [1:15]. სტატიის მიზანს არ წამოადგენს ამ შეხედულების გადასინჯვა, რაც აღნიშნული სამარხების მასალის დეტალური შესწავლის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. ამჯამად საინტერესოა რამდენად შესაძლებელია კატაკომბური სამარხის ფორმის გამოჩენა სამხრეთ კავკასიაში, თრიალეთის კულტურის არეალზე დაკავშირებული იქნეს ჩრდილოური კატაკომბური კულტურის გავლენასთან. მითუმეტეს რომ დასტურდება კატაკომბური კულტურის შემოსვლა და გავრცელება დროთა განმავლობაში ჩრდილო კავკასიაში სტეპური ზონიდან მთისწინა ზოლში [20:51].

კატაკომბური კულტურის ცალკეული ძეგლები მართალია, ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან არის ცნობილი თუმცა, ამ კულტურის მეცნიერული შესწავლა XX საუკუნის დასაწყისიდან იწყება და ის ვ. გოროდცოვის სახელს უკავშირდება. 1903 წელს მის მიერ მაშინდელი ხარკოვის გუბერნიის ტერიტორიაზე იზიუმის მხარეში შესწავლილი იქნა ბრინჯაოს ხანის სამარხი ძეგლები. მოპოვებული მასალის საფუძველზე გამოყოფილი იქნა 3 კულტურა: ორმოსამარხების, კატაკომბების და ძელსამარხების კულტურები. გათხრილი იქნა სულ 19 კატაკომბური სამარხი, სადაც 29 მიცვალებული იყო დაკრძალული. სამარხებს ერთმანეთისგან მცირედ განსხვავებული კონსტრუქციები ჰქონდა. მიცვალებულები ძირითადად თავით დასავლეთისკენ ან სამხრეთისკენ იყვნენ დამხრობილი. აღწერილი იქნა ასევე დაკრძალვის რიტუალი. სამარხებში აღმოჩენილი იქნა ცარცი და ოქრა, თიხის ჭურჭელი და ცხოველის ძვლები. ამრიგად, ვ. გოროდცოვის მიერ იქნა შემუშავებული ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა სამარხი

ძეგლების რელატიურ-ქრონოლოგიური დანაწილება, რაც დღე-საც საფუძველს წარმოადგენს სამხრეთ რუსეთის სტეპების და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისთვის [25:1].

პირველი შემაჯამებელი ხასიათის გამოკვლევა ამ კულტურას მიეძღვნა 1955 წელს და მისი ავტორია ტ. პოპოვა. მის მიერ კატაკომბური კულტურა 6 ლოკალურ ვარიანტად იქნა დანაწილებული: ქვემო დნეპრის, შუა დნეპრის, ხარკოვ-ვორონეჟის, დონეცკის, ჩრდილო აზოვისპირა და ვოლგა-მანიჩის ლოკალური ვარიანტები. აქედან ხუთი ვარიანტი განიხილებოდა როგორც ქრონოლოგიურად თანადროული და ისინი განისაზღვრებოდა როგორც ტერიტორიული ვარიანტები ხოლო მეექვსე – შუა დნეპრის ვარიანტი განისაზღვრებოდა როგორც ქრონოლოგიური – გვიანკატაკომბური ლოკალური ვარიანტი [17:67-93; 14:11]. შემდგომში წარმოებული კვლევების შედეგად ამ ვარიანტებში ცალკეული შესწორებები იქნა შეტანილი. ვოლგა-მანიჩის ნაცვლად შემოთავაზებული იქნა ახალი სახელწოდება – წინა კავკასიური [14:11; 10:34-48]. ქვემო დნეპრის მხარეში ნიკოპოლის ყორღანული სამაროვნის შესწავლის შემდეგ გამოიყო კატაკომბური კულტურის ახალი – ნიკოპოლის ვარიანტი.

ახალი მასალების დაგროვებასთან ერთად, თანდათან გამოიკვეთა ტენდენცია კულტურის ლოკალური ვარიანტების ცალკე, დამოუკიდებელ კულტურებად ინტერპრეტირებისთვის. ლ. კლეინი XX საუკუნის 60-ან და 70-ან წლებში კატაკომბური კულტურის წრეში აერთიანებდა: დონეცკის, აზოვისპირა, ნიკოპოლის, შუა დონის, წინაკავკასიის და პოლტავის კულტურებს, აქედან პირველი სამი კი უკრაინის კატაკომბურ პროვინციას წარმოადგენდა. ამავდროულად ო. შაპოშნიკოვას მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში სიტუაცია განსხვავებულად არის წარმოდგენილი. ტერმინ „კატაკომბური კულტურის“ ნაცვლად მიმოქცევაში შემოდის ტერმინი „კატაკომბური კულტურული-ისტორიული მხარე“, რომელიც რამდენიმე ჯგუფად იყოფა: დონეცკის, ხარკოვ-ვორონეჟის, აზოვისპირა-ყირიმის, დნეპრისპირა სტეპური და ვოლგა-მანიჩის [14:11].

XX საუკუნის 70-ან და 80-ან წლებში ამგვარი შემოთავაზების რიცხვი კიდევ უფრო იზრდება. 80-ან წლებში მიმოქცევაში შემოდის ტერმინი „კატაკომბური კულტურული-ისტორიული ერთობა“, რომელიც დღეისათვის ფართოდ გამოიყენება და მონათესავე არქეოლოგიური კულტურების ერთობას გულისხმობს [25:2-3; 8:3-9; 14:11-23].

დღევანდელი მონცემებით ეს კულტურა (ან კულტურული-ისტორიული ერთობა) მოიცავს დიდ ტერიტორიას დასავლე-

თით მდინარე პრუტიდან აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე და მდინარე ვოლგამდე, ჩრდილოეთით ტყე-სტეპის საზღვრიდან სამხრეთით შავ ზღვამდე ყირიმის ჩათვლით [25:1-3].

ახალი ^{14}C მონაცემებით, ეს კულტურა უნდა მოიცავდეს ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრს. კულტურის საწყისი ეტაპი როდესაც ის სინქრონულად თანაარსებობს ორმოსამარხების კულტურასთან შეიძლება დათარიღდეს ძვ.წ. 2800-2500 წწ [25:65-78; 11:15-27]. მნიშვნელოვანია უკანასკნელ ხანებში აღმოსავლეთ მანჩის კომპლექსებიდან მიღებული 60-ზე მეტი რადიონახშირბადული თარიღები, რომელთა უმეტესი ნაწილი ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრის შუა ხანებზე მოდის [7:6-7].

კატაკომბური კულტურის წარმომავლობის საკითხი არ არის ბოლომდე გარკვეული. ჯერ კიდევ ვ. გოროდცოვმა განიხილა ეს საკითხი და მიიჩნია, რომ ამ ძეგლების შექმნილი ხალხი არ უნდა ყოფილიყო ადგილობრივი და ისინი სავარაუდოდ, ხმელთაშუაზღვისპირეთიდან უნდა ყოფილიყო მოსული. დროთა განმავლობაში კატაკომბურ სამარხებში ძველი ორმოსამარხების კულტურის მსგავსი ინვენტარის აღმოჩენასთან ერთად წარმოიშვა თეორია აღნიშნული კულტურიდან წარმომავლობის შესახებ (კრივცოვა-გრაკოვა 1938, პოპოვა 1955). 50-ან წლებში ამ თეორიას მონინაალმდეგეები გამოუჩნდნენ. თუმცა, ახალი მასალების აღმოჩენამ აჩვენა, რომ ზოგიერთ ტერიტორიებზე ორმოსამარხების კულტურა გარკვეული კომპონენტის სახით შევიდა კატაკომბურ კულტურაში. გამოითქვა ასევე ვარაუდი კატაკომბური კულტურის ჩრდილოკავკასიური წარმომავლობის შესახებაც (მ. არტამონოვი 1949). ამ შეხედულებას გარკვეულწილად მხარი დაუჭირეს და ამ მიმართულებით გააგრძელეს კვლევა სხვა მეცნიერებმაც (ვ. ა. ფისენკო, ვ. ი. კიაშენკო). თუმცა ზოგადად კატაკომბური კულტურის დასავლური წარმომავლობის შეხედულებას შედარებით ფართოდ იქნა გაზიარებული (ლ. კლეინი 1968, ვ. ნიკოლაევა, ვ. საფრონოვი 1981) [16:4-14].

ამრიგად, კავკასიის ჩრდილოეთით ვრცელ ტერიტორიაზე მდინარე პრუტიდან მდინარე ვოლგამდე ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევრის დასასრულს და II ნახევრში გავრცელებულია რამდენიმე კატაკომბური კულტურა (კულტურულ-ისტორიული ერთობა), რომელთაც ერთი საერთო ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი – კატაკომბური სამარხი ახასიათებს. რამდენად შეიძლება დაუკავშირდეს ამ კულტურულ ისტორიულ ერთობას. სამხრეთ კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის ხანიდან მოკიდებული სამარხის იგივე ფორმის გამოჩენა დღეისათვის არსებული მონა-

ცემების ფონზე არ არის ნათელი. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კატაკომბა, როგორც სამარხის ფორმა, არ არის მხოლოდ ძვ. წ. III ათასწლეულის უკრაინის და სამხრეთ რუსეთის სტეპების კატაკომბური კულტურულ-ისტორიული ერთობისთვის დამახასიათებელი სამარხი ფორმა. ეს არ არის სტეპური ზონის იზოლირებული ფენომენი, რომელიც მხოლოდ განსაზღვრულ ეპოქასთან არის დაკავშირებული. რუმინეთში, ჯურჯულეშტის სამარხ კომპლექსებში დაფიქსირებულია 2 ნიშიანი სამარხი და ერთი ნამდვილად კატაკომბური სამარხი ოვალური შახტით. ისინი ამ რეგიონში უძველესი ოქრიანი სამარხების წრეს მიეკუთვნება და ძვ. წ. V ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება. ადრენეოლითური ხანითვე თარიღდება ჩრდილო შავიზღვისპირეთში შესწავლილი სკელიას კულტურა, სადაც ორმოსამარხებთან და სამარხის სხვა ფორმებთან ერთად კატაკომბებიც არის დაფიქსირებული. სამარხის ეს ფორმა იგივე რეგიონში ცნობილია ასევე შუა ენეოლითურ ხანაშიც, დაახლოებით ძვ. წ. 3800-3500 წწ. შუა ენეოლითური ხანით თარიღდება ასევე კატაკომბები ყალმუხეთსა და ჩრდილო კავკასიის ჩრდილოეთით, აქაც ერთმანეთის გვერდზეა დაფიქსირებული სხვადასხვა ფორმის სამარხები. ადრებრინჯაოს ხანის დასაწყისიდან კი ზემოთ დასახელებულ რეგიონებში კატაკომბური სამარხები შედარებით ნაკლებად არის ცნობილი. ისინი ორმოსამარხების კულტურის არეალზე ორმოსამარხებთან ერთად თანაარსებობს. ეს ფაქტი აქ სტრატиграფიული მონაცემებითაც დასტურდება. ერთ-ერთ გორასამარხში კატაკომბა წარმოადგენდა ძირითად სამარხს, მის ყრილში კი ორმოსამარხების კულტურის სამარხები იყო გამართული. ამრიგად ცხადია, რომ კატაკომბა წარმოადგენს სამარხის ფორმას, რომელიც უფრო ხშირად, სამარხის სხვა ფორმებთან ერთად თანაარსებობს და ის წარმოადგენს განმეორებად ფენომენს, რომელიც ხელახლა თავიდან ჩნდება ხოლმე. კატაკომბურ კულტურად კი განიხილება ის არქეოლოგიური კულტურა, რომლის კულტურული განმსაზღვრელი ელემენტი აღნიშნული სამარხი კონსტრუქციაა.

კატაკომბები ცნობილია სხვა რეგიონებიდანაც. სამხრეთ იტალიასა და სარდინიაში შესწავლილია კლდეში ამოკვეთილი სამარხები, რომელთაც ვერტიკალური შახტა და მასთან დაკავშირებული გვერდითი კამერა გააჩნია. უძველესი კლდეში გამართული სამარხები ქრისტეშობამდე დაახლოებით 3600 წლით თარიღდება. ადრებრინჯაოს ხანაშიც არის იტალიაში ასეთივე კლდეში ამოკვეთილი სამარხები ცნობილი პესტუმთან

და რინალდონედან. ამ სამარხებსა და ზემოთ მოხსენიებულ სარდინიის სამარხებს შორის დაახლოებით 1000 წელია განსხვავება. ამის გამო რთულდება აქ ტრადიციის გაგრძელების დადასტურება. იტალიის ნეოლითური ხანის კატაკომბების შედარებისას პალესტინის კატაკომბებთან პ. ვალტერი აღნიშნავდა, რომ აქ საქმე უნდა ეხებოდეს კონვერგენტულ გამოვლინებებს, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა წარმოშობილიყო. აღსანიშნავია ასევე მანიკაში, ევბეაზე (საბერძნეთი) აღმოჩნდა 189 კატაკომბური სამარხი, რომლებიც ქანში იყო ამოღებული და ყრილი არ გააჩნდა. მონაპოვარი არქეოლოგიური მასალის მიხედვით ისინი ადრე-ელაღური II პერიოდით თარიღდება. ი. მარანის მიხედვით კი, ზოგიერთი სამარხი ადრე-ელაღური II-დან III პერიოდზე გარდამავალი ხანით შეიძლება დათარიღდეს. აბსოლუტური ქრონოლოგიით ეს არის ძვ. წ. 2600-დან 2200 წლამდე პერიოდი, რაც თანადროულია კატაკომბური კულტურის, თუმცა აქ მაინც ერთმანეთისგან დამოუკიდებელ გამოვლინებებთან უნდა გვქონდეს საქმე [25:318-319].

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ სამარხები გვერდითი სათავსოებით აღმოჩენილია ასევე წინა და მცირე აზიის ძვ. წ. III-II ათასწლეულების რამდენიმე ძეგლზე ასურში [24:79] ლაზაში, მეგიდოში [26:150, 172, ფიგ. 121, 134]

ამის ფონზე საინტერესოა იმის განხილვა, თუ შუაბრინჯაოს ხანაში, თრიალეთის კულტურის გავრცელების არეალზე განსხვავებული სამარხის ფორმის გამოჩენას რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს. როგორც ამ სამარხებიდან მომდინარე არქეოლოგიური მონაპოვარი მასალის განხილვამ აჩვენა, მას პარალელები მოეპოვება ადგილობრივ გარემოში თრიალეთის კულტურის ძეგლებზე. უცხოვად გამოიყურება მხოლოდ თვით სამარხი კონსტრუქცია და დაკრძალვის რიტუალის რამდენიმე დეტალი: მაგალითად, მიცვალებულის გაშობილი დაკრძალვა ფურცელწყალის ზღვ² სამარხში, რაც თრიალეთის კულტურის ძეგლებზე სხვაგან არ გვხვდება.

აღსანიშნავია ერთი შემთხვევა ჩრდილო კავკასიიდან: მდინარე სულაკის აუზში, სადგურ მანასთან აღმოჩენილია ყორღანული ყრილის ქვეშ გამართული კატაკომბური სამარხები, რომლებიც კონსტრუქციულად ჰგავს სტეპური ზონის კატაკომბური კულტურის სამარხებს, თუმცა აქ მოპოვებული მასალა როგორც კერამიკა ასევე ლითონის არტიფაქტები ადგილობრივ, შუაბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ კულტურას მიეკუთვნება [13:121].

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თვით კატაკომბური კულტურულ-ისტორიული ერთობის გავრცელების არეალზე ცნო-

ბილი ძეგლებისთვისაც ზოგჯერ სირთულეს წარმოადგენს მათი ზუსტი კულტურული კუთვნილების განსაზღვრა. ამის გამო ლ. კლეინის მიერ XX საუკუნის 60-ან წლებში შემუშავებული იქნა კრიტერიუმები კატაკომბური კულტურის ცალკეული ჯგუფების განსაზღვრისათვის. ამ ნიშნებში ერთიანდება არა მხოლოდ სამარხის ფორმა, არამედ დაკრძალვის რიტუალის ცალკეული დეტალები და ასევე სამარხეული ინვენტარი [12:31-38]. იგივე ავტორი გარკვევით მიუთითებს, რომ კატაკომბური კულტურისთვის ძეგლის მისაკუთვნებლად არა მარტო სამარხის ფორმაა მნიშვნელოვანი, არამედ საჭიროა ზემოთ ნახსენები ნიშნების მთელი კომპლექსის არსებობა [12:28-38]. კატაკომბური სამარხების ფორმის, ზომების და პროპორციების მიხედვით ხდება მათი კლასიფიკაცია და ამის საფუძველზე რელატიური ქრონოლოგიის თუ რეგიონალური თავისებურებების საკითხების შესწავლა [15:26-29].

შუაბრინჯაოს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული კატაკომბების შემთხვევაში ამ კრიტერიუმების გამოყენება რთულდება ამის გამო, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პუბლიკაციებში არ არის მოცემული სამარხების ფორმის ზუსტი აღწერა, ზომები, ცალკეული კომპონენტების (შახტა, გვერდითი სათავსო) ურთიერთმიმართება და მათი პარამეტრების თანაფარდობები, ჰორიზონტის მხარეების მიმართ ორიენტირება და სხვა.

ამრიგად, სამხრეთ კავკასიაში ბრინჯაოს ხანაში კატაკომბები სამ სხვადასხვა ეპოქაშია დადასტურებული: III ათასწლეულის სამარხები მდინარე ივრის ზეგნიდან, შუაბრინჯაოს ხანის კატაკომბური სამარხები თრიალეთის კულტურის გავრცელების არეალზე და ასევე გვინბრინჯაოს ხანის ართიკის სამაროვანი და კიდევ რამოდენიმე სამარხი სომხეთში. სამივე ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ მათი წარმომავლობა განსხვავებული იყოს და ყველა ამ შემთხვევას თავისებური ახსნა ჰქონდეს. ამ ვერიოდის კატაკომბების, რომლებიც ქრონოლოგიურად ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულია, ერთმანეთთან დაკავშირება და ტრადიციის გაგრძელების დადასტურება მთელი ამ დროის განმავლობაში, დღეისათვის არსებული მონაცემებით სათუთა. ცნობილია, რომ მაგალითად, ჩრდილო შავიზღვისპირეთში ენეოლითის ხანის ადრე, შუა და გვიანი საფეხურების კატაკომბების ერთმანეთთან დაკავშირება არ ხერხდება და აქ ერთი და იგივე ფენომენის ხელახლა დამოუკიდებლად გამოჩენა უფრო ივარაუდება, ვიდრე ტრადიციის გაგრძელება [25:318-319].

თრიალეთის კულტურის ტერიტორიაზე ამ კონსტრუქციის სამარხების გამოჩენის შემთხვევაში კი საქმე შეიძლება გვექონდეს

კატაკომბური კულტურულ-ისტორიული ერთობის არა ტერიტორიულ გავრცელებასთან არამედ მხოლოდ მისი ერთი ფენომენის – კატაკომბური სამარხის გავრცელებასთან და ეს ფაქტიც დღევანდელი მონაცემებით უეჭველად არ დასტურდება. რადგანაც სამარხის ეს ფორმა არა მხოლოდ კატაკომბური კულტურულ-ისტორიული ერთობასთან არის დაკავშირებული, ის სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა დროს ზოგჯერ დამოუკიდებლად ჩნდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. ვარაზაშვილი, მდ. ივრის ზეგნის კატაკომბური სამარხების დათარიღებისთვის. ამირანი XIX. თბ. 2008. გვ. 7-24
2. შ. ირემაშვილი, ზ. შატბერაშვილი. მეტეხი, ნამოსახლარი და სამაროვანი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა ტ. 5. თბ. 1990, გვ. 179
3. მ. კაპანაძე. ივრისპირების ბრინჯაოს ხანის სამაროვნები. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები VI. თბ. 1984, გვ. 34-38.
4. კ. ფიცხელაური, თ. ბუგიანიშვილი, შ. დედაბრიშვილი, რ. რამიშვილი, მ. უზუნაშვილი, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის საველე მუშაობის შედეგები. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს. თბ. 1971. გვ. 38-42
4. ვ. სადრაძე, ბ. მურვანიძე, ნატახტარი I, შუაბრინჯაოს ხანის სამაროვანი. თბ. 1991 (პრეპრინტი)
5. Г. М. Асланов, К изучению раннесредневековых памятников Мингечаура. Краткие сообщения института истории материальной культуры. Вып. 60. Москва 1955. стр. 63-72
6. М. В. Андреева, Восточноманичская катакомбная культура. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Москва 2008
7. А. Н. Гей, Спорные вопросы и перспективы изучения катакомбной культурно-исторической общности. Краткие сообщения института археологии 225. Москва 2011. стр. 3-10
8. Ш. Ш. Дедабришвили, Работы второй Кахетской Экспедиции. Археологические открытия 1977 года. Москва 1978. стр. 481

9. А. А. Иерусалимская, О предкавказском варианте катакомбной культуры. Советская археология 2. Москва 1958. стр. 34-48
10. Э. Кайзер, Проблемы абсолютного датирования катакомбной культуры северного причерноморья. Краткие сообщения института археологии 225. Москва 2011. стр. 15-27
11. Л. С. Клейн, Катакомбные памятники эпохи бронзы и проблема выделения археологических культур. Советская археология 2. Москва 1962. стр. 26-38
12. В. И. Марковин, Р. М. Мунчаев, Северный Кавказ. Очерки древней и средневековой истории и культуры. Москва 2003
13. В. И. Мельник, Проблема уровней общности катакомбного круга. Краткие сообщения института археологии 225. Москва 2011. стр. 10-15
14. Г. А. Николаев, Классификация катакомбных могил эпохи бронзы Северного Кавказа и Предкавказья. Катакомбные памятники Северного Кавказа. Орджоникидзе 1981. стр. 26-34
15. Н. А. Николаева В. А. Сафронов, Древнейшая катакомбная культура Северного Кавказа и проблема появления катакомбного обряда в восточной Европе. Катакомбные памятники Северного Кавказа. Орджоникидзе 1981. стр. 4-2616.
16. Т. Б. Попова, Племена катакомбной культуры. Москва 1955
17. В. Садрадзе, Археологические памятники «Мцхета Великой» эпохи средней бронзы. Вопрос хронологии и периодизации памятников Шида-Картли. Тбилиси 1993
18. В. Г. Садрадзе, Р. В. Давлианидзе, Н. Э. Шаншашвили, Н. Т. Хубулури, Катакомбные погребения центрального закавказья. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე 136. №2 თბილისი 1989. გვ. 501-503
19. В. А. Сафронов, Катакомбные памятники предгорной зоны Северной Осетии. Катакомбные памятники Северного Кавказа. Орджоникидзе 1981, стр. 51-76
20. К. Пицхелаури, Ш. Дедабришвили, Б. Маисурадзе, Г. Миндиашвили, М. Абдушелишвили, В. Варазашвили. Отчёт о полевых работах Кахетской археологической экспедиции. Полевые археологические исследования в 1977 году. Тбилиси 1980. стр. 85-95
21. Т. С. Хачатрян, Материальная культура древнего Артика. Ереван 1963
22. Т. С. Хачатрян, Древняя культура Ширака. Ереван 1975
23. W. Andrae, Das wiedererstandene Assur. Berlin 1938

24. E. Kaiser, Studien zur Katakombengrbbkultur zwischen Dnepr und Prut. Archäologie in Eurasien 14. Mainz am Rhein 2003
25. Cl. F. A. Schaeffer, Stratigraphie comparée et chronologie de l'Asie Occidentale. Paris 1948

ტაბულის აღწერილობა

ტაბ. I-1 ნატახტარი I სამაროვნის №3 სამარხი. ჩვლკვლკტ
1993 ის მიხედვით.

ტაბ. XVIII₁

ტაბ. I-2 ნატახტარი III სამაროვნის №21 სამარხი. ჩვლკვლკტ
1993 ის მიხედვით.

ტაბ. XXX₁

Beschreibung der Abbildungen

Abb. I-1 Das Grab Natachtari I. 3. Nach Садрадзе 1993. Abb. XVIII₁

Abb. I-1 Das Grab Natachtari III. 21. Nach Садрадзе 1993. Abb. XXX₁

Levan Tchabashvili

Mittelbronzezeitliche Katakomben in Georgien

Zusammenfassung


Die Katakomben erschienen im Südkaukasien seit der frühen Bronzezeit im Verbreitungsgebiet der Kura-Araks Kultur im Ostgeorgien. Sie sind auch in der Mittelbronzezeit in Ostgeorgien und in der Spätbronzezeit in Armenien bekannt. Im Artikel werden die mittelbronzezeitlichen Katakomben aus Ostgeorgien beurteilt. Es wurde alle vorhandenen Informationen über publizierten und unpublizierten Gräber zusammengefasst. Das sind insgesamt 9 publizierte und 9 unpublizierte solche Gräber in Ostgeorgien. Es wird alle ihre Merkmalen wie Verbreitung, Grabkonstruktion, Ausstattung beurteilt. Dazu kommt die Materialanalyse. Es wird die Frage nach Herkunft von diesem Grabform im Südkaukasien beurteilt.

Levan Chabashvili


Middle Bronze Age catacombs in Georgia

Summary

The catacombs appeared in the South Caucasus since the early Bronze Age in the distribution area of the Kura-Araks culture in eastern Georgia. They are also known in the Middle Bronze Age in eastern Georgia and in the Late Bronze Age in Armenia. In the article, the Middle Bronze Age catacombs be judged from eastern Georgia. It was zusammengefasst any available information on published and unpublished graves. These are a total of 9 published and 9 unpublizierte such graves in eastern Georgia. It is judged all of their features like distribution, grave construction, equipment. Then there is the material analysis. It is judged the question of origin of this grave form in the South Caucasus.



რუკა 1 Map 1 Karte 1



ტაბ. 1 Tab. 1 Abb. 1